N 2 10/01/2020

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2020 წელი, 10 იანვარი
ქ.ოზურგეთი
12.00-13.00საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ლ.ნინიძე, ალ.ღლონტი, ლ.სიჭინავა, ხ.ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია
თანამომხსენებელი: ნათია ვაშალომიძე

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა თანამომხსენებელმა ნ.ვაშალომიძემ, ძირითადად ყურადღება გამახვილდა დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე, სიახლეებზე და გასაცემი თანხების

ზრდაზე. შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა, ხ.ცერცვაძემ განაცხადა, რომ 2019 წელში ბენეფიციარებზე გათვალისწინებული თანხა დარჩა გაუხარჯავი, არსებულმა წესმა არ მისცათ საშუალება თანხა სხვა საჭიროებებზე გამოეყენებინათ, ითხოვა წესში ცვლილების შეტანა. კომისიის წევრებს, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ გააცნო დასკვნა, რომელსაც დაუჭირეს მხარი.

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მხარი დაუჭირონ პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პოექტი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე
განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია